საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 66

თბილისი „17“ 01 2020 წ.

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებული რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე და 61-ე მუხლების, "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“ და „ლ“ ქვეპუნქტების, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის ფუნქციათა შემსრულებლის 2020 წლის 15 იანვრის N32958 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მოთხოვნათა შესრულებისა და საჯარო ინფორმაციის შესაბამის ვებგვერდზე დროული და ზუსტი განთავსების მიზნით, დაევალოთ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ამ ბრძანების დანართით განსაზღვრულ სტრუქტურულ ერთეულებს ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის მიწოდება ადმინისტრაციისათვის (დეპარტამენტი) ამ ბრძანების დანართით განსაზღვრულ ვადებში;

2. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) საქმისწარმოების სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **თინათინ გურამიშვილი**;

3. დაევალოს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) საქმისწარმოების სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს თინათინ გურამიშვილს უზრუნველყოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მოთხოვნების შესრულება;

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის დადგენის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 13 დეკემბრის N581 ბრძანება;

5. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნება ოფიციალურ ვებგვერდზე;

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6).

მიხეილ ჩხენკელი